# სასოფლო გაზეთი

## პირველი წელიწადი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამ ს თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 7. სამშაბათი. I. 16 აპრილს 1868 წ.


**შინაარსი:** ოფიციალური ნაწილი.—არა ოფიციალური ნაწილი: ბოსტნის განყოფა და კვლების გარიგება.—საქონლის ყვანა და თურქული.—მიზიყელები ინგილოებში.

## ოფიციალური ნაწილი.

სასოფლო მოხელეების მონაწილეობა თავდაპირველის ძიების წარმოებაში. (*)

—

250. რა რომ სოფლის მოხელეები ისეთს შემთხვევას გაიგებენ, რომ ნიშნები იყოს რამე დამნაშაობისა ან შეცთომილებისა, ამ ამბავს მაშინვე სამოსამართლო გამომძიებელსა და პროკურორს ან იმისს ამხანაგს შეატყობინებენ, ისე რომ არამც და არამც ერთი დღე და ღამე არ გადაიცილონ.

250. О всякомъ происшествіи, заключающемъ въ себѣ признаки преступленія или проступка, сельскія власти немедленно, и никакъ не позже *сутокъ* по полученіи о томъ свѣдѣнія, сообщаютъ судебному слѣдователю и прокурору или его товарищу.

251. თუ ისეთი დამნაშაობა ან შეცდომილება მოხდა რამე, რომ მომრიგებელი მოსამართლის (მიროვოი სუდიის) უწყებას ექვემდებარებოდეს, სოფლის მოხელეები ამ საქმის ამბავს იმ მოსამართლეს მოახსენებენ, რომელსაც ეკუთვნის.

251. Свѣдѣнія по преступленіямъ и проступкамъ, подлежащимъ вѣдомству мировыхъ судей, сельскія власти передаютъ имъ, по принадлежности.

252. თუ ადგილობრივ არც სამოსამართლო გამომძიებელი არის, არც პროკურორი ან იმისი ამხანაგი, სადაც არიან, იქ აცნობებენ სოფლის მოხელეები, აქ ისეთი საქმე მოხდა რომ ნიშნები არის დამნაშაობისა ან შეცთომილებისაო, და თვითან მაშინვე გამოკვლევას შეუდგებიან.—

252. Когда ни судебнаго слѣдователя, ни прокурора или его товарища нѣтъ на мѣстѣ, то сельскія власти, сообщая имъ о происшествіи, заключающемъ въ себѣ признаки преступнаго дѣянія, вмѣстѣ съ тѣмъ производятъ надлежащее о немъ дознаніе.

253. თუ დამნაშაობისა ან შეცთომილების ნიშნები საეჭვოა, ან თუ ამ ნიშნებიანი საქმე სოფლის მოხელეებს ამბათა ჰსმენიათ, ასე ამბობენო, ან ისეთი ადგილიდამ მოსვლოდესთ ეს ამბავი, რომ ვერ იყოს სწორეთ დასაჯერებელი,—მაშინ, მანამდის ვისაც ეკუთვნის იმას მოახსენებდნენ, მოხელეები თვითან უნდა დარწმუნდნენ გამოკვლევითა: მართლა მომხდარა ის შემთხვევა, რაცა ჰსმენიათ, თუ არა, და თუ მომხდარა, ნიშნები არის რამე დამნაშაობისა ან შეცთომილებისა თუ არა?

253. Когда признаки преступленія или проступка сомнительны, или когда о происшествіи, имѣющемъ такіе признаки, сельскія власти извѣстятся по слуху (народной молвѣ), или вообще изъ источника не вполнѣ достовѣрнаго, то во всякомъ случаѣ, прежде сообщенія о томъ по принадлежности, они должны удостовѣриться чрезъ дознаніе: дѣйствительно ли происшествіе то случилось, и точно ли въ немъ заключаются признаки преступленія или проступка.

254. გამოკვლევაში სოფლის მოხელეები ყოველს საჭირო ცნობას შეჰკრეფენ ძებნით, სიტყვიერის გამოკითხვითა და გამოუაშკარავებლად თვალყურის დევნებითა, რომ არავის რა გაეშინჯებოდეს და სახლები არ გაიჩხრიკებოდეს.—

254. При производствѣ дознанія сельскія власти всѣ нужныя имъ свѣдѣнія собираютъ посредствомъ розысковъ, словесными расспросами и негласнымъ наблюденіемъ, не производя ни обысковъ, ни выемокъ въ домахъ.

255. რასაც გამოკვლევას მოახდენენ, სამოსამართლო გამომძიებელს გადასცემენ სოფლის მოხელეები და მერმე რასაც დასამატს ცნობას შეჰკრებენ იმავე საქმისას, იმასაც ყოველსავე წარუდგენენ. თავისს გამოკვლევას რომ გამომძიებელს გადასცემენ, მაშინვე პროკურორს მოახსენებენ, ან იმისს ამხანაგს, ესა და ეს საქმე გამომძიებელს გადავეცითო.

255. Произведенное дознаніе сельскія власти передаютъ судебному слѣдователю, которому впослѣдствіи сообщаютъ и всѣ дополнительныя свѣдѣнія, собранныя ими по тому же предмету. Передавая дознаніе слѣдователю, сельскія власти доносятъ о томъ прокурору или его товарищу.

---

(*) ამ კანონის ამუხლებს გადმოვსწერთ სამოსამართლო წესდებულებიდგან (судебные уставы), რომელიცა გამოიცა 1864 წელს 20 ნოემბერს.

156. მანამდის სამოსამართლო გამომძიებელი მოვიდოდეს, სოფლის მოხელეები გაფთხილდებიან, რომ დამნაშაობის კვალი არ გაჰქრეს და ვიზედაც ეჭვი არის, იმასაც თავის მორიდება არ შეეძლოს გამოძიებისაგან.—

256. До прибытія судебнаго слѣдователя, сельскія власти принимають мѣры, необходимыя для того, чтобы предупредить уничтоженіе слѣдовъ преступленія и пресѣчь подозрѣваемому способы уклоняться отъ слѣдствія.

257. სოფლის მოხელეები დაწამებულს მაშინ შეუკვრენ გამოძიებისაგან თავის მოსარიდებელს გზას:

257. Сельскія власти принимаютъ мѣры къ пресѣченію подозрѣваемому способовъ уклоняться отъ слѣдствія въ слѣдующихъ случаяхъ:

1. როდესაც დაწამებულს ზედ წასდგომიან ან იმ დანაშაულის მოქმედებაში, ან მაშინვე, რა რომ დამნაშაობა უქმნია.—

1. когда подозрѣваемый застигнутъ при совершеніи преступнаго дѣянія или тотчасъ послѣ его совершенія;

2. როდესაც დამნაშავობისაგან დაზარალებულნი ან თვალით მნახველნი დამნაშავეზედ პირ და პირ ხელს მიიშვერენ;—

2. когда потерпѣвшіе отъ преступленія или очевидцы укажутъ прямо на подозрѣваемое лицо;

3. როდესაც დაწამებულს ან ზედ, ან სადგომში გამოაჩნდება ცხადი ნიშანი რამე დამნაშაობისა;

3. когда на подозрѣваемомъ или въ его жилищѣ найдены будутъ явные слѣды преступленія;

4. როდესაც დანაშაულობის დამამტკიცებელი ნივთი რამე დაწამებულს ეკუთვნის, ან იმასა აქვს;

4. когда вещи, служащія доказательствомъ преступнаго дѣянія, принадлежатъ подозрѣваемому или оказались при немъ;

5. როდესაც დაწამებულმა გაქცევა დააპირა ან დაჭერილ იქმნა გაქცეული თუ განაქცევი.

5. когда онъ сдѣлалъ покушеніе на побѣгъ, или пойманъ во время или послѣ побѣга;

6. როდესაც დაწამებული არის უსახლკარო ან უბინადრო;

6. когда подозрѣваемый не имѣетъ постояннаго жительства или осѣдлости.

258. სადაც რომ სოფლის მოხელეები სადანაშაულო მოქმედებას აადგებიან რასმე, გათავებულსა თუ გაუთავებელსა,—ან სადაც საფიქრებელი იქნება, რომ გამომძიებელის მოსვლამდის, დამნაშაობის კვალი არ წაიშალოს, იქ გამომძიებელის მაგიერად თვითან სოფლის მოხელეებმა უნდა მოახდინონ ყოველი საძიებელი მოქმედება, რისაც კი დაგვიანება არ ვარგა,—მაგალითად: გასაშინჯავის გაშინჯვა, შესამოწმებელის შემოწმება, გამოსაძებნის გამოძებნა, სახლების გაჩხრეკა; მაგრამ წერილობითს (ფორმალურს) ჩვენებას კი არც დაწამებულსა და არც მოწმებს არ ჩამოართმევენ, თუ რომ იმათში მძიმეთ არა ვინ არის ავათა, რომ იმისი სიკვდილის ფიქრი იყოს გამომძიებელის მოსვლამდის.

258. Въ тѣхъ случаяхъ, когда сельскими властями застигнуто совершающееся или только что совершившееся преступное дѣяніе, а также когда, до прибытія на мѣсто происшествія судебнаго слѣдователя, слѣды преступленія могли бы изгладиться, сельскія власти замѣняютъ судебнаго слѣдователя во всѣхъ слѣдственныхъ дѣйствіяхъ, нетерпящихъ отлагательства, какъ то: въ осмотрахъ, освидѣтельствованіяхъ, обыскахъ и выемкахъ; но формальныхъ допросовъ ни обвиняемымъ, ни свидѣтелямъ, сельскія власти не дѣлаютъ, развѣ бы кто изъ нихъ оказался тяжко больнымъ и представилось бы опасеніе, что онъ умретъ до прибытія слѣдователя.

259. რაც ზემორე ორს მუხლში (257 და 258.) საქმეები არის მოყვანილი,—ყოველსავე ამ შემთხვევაში სოფლის მოხელეები მტკიცედ უნდა ასრულებდნენ წინასწარი გამოძიებისათვის დაწესებულს კანონებსა.

259. Въ случаяхъ, означенныхъ въ статьяхъ 257 и 258 сельскія власти соблюдаютъ во всей точности правила, постановленныя для производства предварительнаго слѣдствія.

260. რა რომ გამომძიებელი მოვა, რაც სოფლის მოხელეებს ნაწარმოები საქმე ექნებათ, იმას გადასცემენ ყოველსავე და თავისს საქმობას ამით გაათავებენ, მანამდისინ სხვა ბძანებას ან დასაქმებას არ მიიღებდნენ.

260. По прибытіи судебнаго слѣдователя, сельскія власти передаютъ ему все производство и прекращаютъ свои дѣйствія по слѣдствію до полученія особыхъ о томъ порученій.

## არა ოფიციალური ნაწილი.

### ბოსტნის განყოფა და კვლების გარიგება.

ჩვენში როგორც მოჰხედებთ, ისე აკეთებენ ხოლმე ბოსტანს. არც იმას დასდევენ, თუ მიწა ბრადი-ბრუნდეა, არც იმას, თუ ოღროჩოღროა, არც გზები გაჭყავთ შიგ, და არც კვლებს აკეთებენ ანგარიშითა და მოსაზრებით; ხშირად ისიც არ იციან, თუ რომელ ბოსტნეულს, როგორი მიწა უყვარს და რა ხასიათისაა და როგორ მიწას როგორი ყურის გდება და კეთება უნდა. ბრადი-ბრუდე ბოსტანში კვლებს ვერაოდეს ვერ გააწყობენ რიგზედ: კვლების რიგზე გაწყობა კი ძალიან საჭიროა ბოსტნის მოსავლისათვის: ოღროჩოღრო ბოსტანი ვერ მოირწყვება თანასწორედ, რადგან ზოგგან ბევრი წყალი ჩადგება და ზოგგან ცოტა; თუ არ იციან რა მიწას რა მოვლა უნდა—მაშინ ყველა გვარ მიწას, როგორც თიხა ნარევ შავ მიწას, ისე ქვიშიანსაც ერთნაირად, უვლიან და რადგან ბევრჯერ გზებსაც არ აკეთებენ ბოსტნებში, ამის გამო სულ შიგ დათესილში დადიან ხოლმე და იმის მაგიერად, რომ ნაშლათა და რბილად შეინახონ მიწა—სტკეპნიან და აფუჭებენ. ამისთანა დაუდევნელობისაგან ის გამოდის, რომ ჩვენში ბოსტანს ისეთი მოგება არა აქვს, როგორიც სხვა წინწასულ ქვეყნებში, სადაც ზოგიერთი სახლობა თითქმის მარტო ერთდღიური ბოსტნის შემოსავლითა სცხოვრებს და ისე კარგა, რომ ჩვენში ბევრჯერ ორასი დღიური მიწის პატრონიც ვერა სცხოვრებს.

ამის გამო კარგია, რომ მივბაძოთ იმათ ყველა გამოსავლიან საქმეში, და რადგან მამულის პატრონისთვის ბოსტნეულის მოყვანაც ძალიან სასარგებლოა, ამის გამო ბოსტნის მოყვანაშიაც რომ მივბაძოთ (არც ძნელია) და კარგიც იქნება. ამისათვის აქ ავწერ იმას, თუ დაწინავებულ ქვეყნებში ბოსტნებს როგორ აკეთებენ.

ბოსტნისათვის ყოველთვის ვაკესა და თანასწორ ალაგს არჩევენ ხოლმე. ამისთანა ალაგზედ გაკეთებული ბოსტანი უფრო ადვილსაკეთებელიც არის, კვლებიც რიგზედ შეძლება გააკეთონ, ერთნაირათაც მოირწყვება და მოსავლელათაც უფრო ადვილი იქნება. ბოსტნისთვის ყველაზედ უფრო მოგრძო-ოთხკუთხი მიწა სჯობია.

მთელ ბოსტანს ჰყოფენ რამდენსამე ნაწილად დიდი გზებით. ამ გზებს სიგანით ო

ადლნახევარს აკეთებენ ხოლმე, იმიტომ რომ ურმებსა და პავოსკებს თავისუფლად შეეძლოს სიარული. თუ ბოსტანი ერთ დღიურზედ მეტი არ არის, მაშინ ამ დიდ გზას შუაში გაატარებენ ხოლმე, სიგძეზედ, და თუ ორი დღიურია, ან მეტი — მაშინ სჯობია რომ ეს დიდი გზა გარე შემოუტარონ ბოსტანს. გზებზედ ზევით-პირ ნაყოფიერს მიწას აიღებენ ხოლმე და ბოსტანში ჰფანტევენ, გზებზე კი ხვინჭს ან მსხვილ ქვიშასა ჰყრიან, ისე კი, რომ გზის ზურგი ერთ მტკაველზედ ამაღლებული იყოს, და წვიმის დროს წყალი ადვილად დაიწრიტოს კვლებში. ზევრგან ამ გზებზედ იონჯასა და პრასა ბალახსა სთესენ, მაგრამ თვეში კი ერთხელა სთიბენ, რომ თესლი არ შემოვიდეს და ნაპირის კვლებში არ ჩაიფსოტოს.

ბოსტნის ორივე ნახევარს ჰყოფენ პატარა ნაწილებად—გარდი-გარდმო გზებით. ეს გზები სიგანით ადლნახევარია თითო ამ პატარა ნაწილში არის თხუთმეტიდამ ოც კვლამდე. ამ ნაწილებშიაც კიდევ ორი ნახევარ ადლის სიგანე გზას გაატარებენ ხოლმე და მაშინ ეს ნაწილი გაიყოფა სამ დიდ კვალად. ამდენი გზები ზოგს ტყუილა ჯაფის დაკარგვად ეჩვენება, მაგრამ გამოცდილებით კი შეტყობილია, რომ ეს გზები ბოსტნის მოვლასა და მოკრეფას ძალიან აადვილებენ და ბოსტნეულსაც არ აფუჭებინებენ ფეხით, აგრეთვე ამისთანა დაყოფილ ბოსტანში თესლის გადანაცვლებაც ადვილია. (თესლის გადანაცვლებას ამას ვეძახით: ერთ წელიწადს რომ ერთ კვალში დათესონ რამე, მეორე წელიწადს იმავე თესლს იქ აღარ სთესენ—გადაუნაცვლებენ—სხვა კვალში სთესავენ). თუ ბოსტანი პატარაა, და ოცი ან ოცდა ათი კვალი არის, მაშინ რასაკვირველია საჭირო არ იქნება ამდენი გზები; მაშინ დიდი გზის მაგიერად პატარა გზა საკმაო იქნება; კვლები კი მაინც რიგზედ უნდა გააკეთონ. ამ დიდ კვლებს ორი მტკაველის სიგანე თხრილებითა ჰყოფენ და გამოჰყავთ რამდენიმე პატარა კვლები.

დიდი გზის ახლო კვლებს აკეთებენ ერთი არშინი სიგანისას, გარეშემო ბალახიან ბელტებს შემოუწყობენ ხოლმე და შიგ ორ შარათ იმისთანა მცენარესა სთესენ ან რგავენ, რომელსაც ყოველწლივ არ უნდა თესვა, ესე იგი მრავალ წლოვანს მცენარეს. ამასთან ერთ შარში დაბალ, უღეროო მცენარეს სთესვენ, მაგალითად: მჟაუნას, ისპანახს, მარწყვს და სხვ. და მეორეში კი მაღალ, ღეროვან მცენარეს—სალბს, პიტნას ტარხუნას და სხვ. ამ კვლებშივე შეიძლება დაირგას ნაყოფის მომტანი ბუჩქებიც: მოცხარი (სმაროდინა), კინკრუჟა (კუნკრუხელა, კრიჟოვნიკი), ანუ ყვავილოვანი მცენარები. ამ ბუჩქების ჩრდილის ქვეშ მწვანილი თუმცა მცირე მოდის, მაგრამ ეს დასაკლისი იმ ბუჩქების მოსავლით ერთი ორად ჯილდოვდება.

ნაპირის კვლები, ესე იგი ის კვლები, რომელიც ღობის ახლოს არიან, ერთი ადლი უნდა იყოს. გარეშემო ამ კვლებსაც ბალახიან ბელტებს შემოუწყობენ ხოლმე და თვეში ერთხელ გამოთიბენ, რომ თესლი არ ჩაცვივდეს კვალში. ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეზედ, რომელი კვლებიც იქნება—იმ კვლებს უფრო ბევრი სითბო ექნება, რადგან მზე პირ და პირ დასცქერის; ამის გამო ამ კვლებში უფრო სათუთს მცენარეს დასთესენ ხოლმე, რომელთაც დილის სიცივისა ეშინიანთ. მაგალითად: სხვა და სხვა გვარი ადრეული ცერცვი, ბაკლა და სხვ.

სამხრეთისა და აღმოსავლეთის ღობის პირის კვლებში, რომელთაც უფრო ბევრი ჩრდილი მიადგებათ ხოლმე, მჟოლსა (მალინას) და სხვა და სხვა ჯიშის თხილსა რგვენ, რადგან ამათ ჩრდილისა არ ეშინიანთ, არც მზის გულსა საჭიროებენ ძალიან და მოსავალს კი დიდს აძლევენ პატრონს.

ამასთან ყველა ბოსტანში გადასარგველი კვლებიცა აქვსთ. ეს კვლები სიგანით ერთ ადლზედ ცოტა მეტია და ზოგი მცენარისთვის, მაგ.—ხაჭიჭორასთვის, კვალს სიგანე ორი არშინი აქვს. ერთის სიტყვით ამ კვლებს ისეთი სიგანე აქვსთ, რომ ორივე მხრიდგან შუა ალაგას ხელი მისწვდება და ადვილად შეიძლება დარგვა და გამარგვლა. თუ ყამირი და ნოტიო მიწაა მაშინ კვლებს უფრო ვიწროს აკეთებენ, ერთ არშინიდამ, ერთ ადლამდის. კვლებს შუაც სიგანით ნახევარ არშინიან თხრილს უკეთებენ. თუ მიწა ან მჭლეა, ან ნოტიო, მაშინ თხრილებს ჩააღრმავებენ ხოლმე და კვლებს კი აამაღლებენ, რომ სისველე ადვილად გაშრეს; და თუ წინააღმდეგ, მიწა მსუქანია ან ხმელი, მაშინ თხრილებს თხელს უკეთებენ და კვლებს კი ჩაღრმავებულებს, რომ კვლებში სინოტივე შეინახოს და მალე არ გახმეს, მეტადრე გვალვის დროს. თუ მიწა ხმელია, ან ქვიშიანი, ან თუ მაღლობ ალაგზედ არის, მაშინ კვლებს მიწის ნიადაგის თანასწორედ არ აკეთებენ, არამედ ერთ ციდაზედ დაბლა, რომ ნოტიო უფრო დიდხანს შეინახოს. ამისთანა ჩაღრმავებულ ბოსტნებში კარგად მოდის კომბოსტო და კომბოსტოს გვარი მცენარეები.

თუ მიწა ნოტიო არ არის, მაშინ კვლების ზევით პირს სწორეს აკეთებენ, რომ სისველე უფრო დიდხანს შეინახოს. მაგრამ, თუ ადგილი ან დაბლობი და ან ნოტიოა, მაშინ კვლებს შუა გულში აამაღლებენ ხოლმე; ეს იმისთვის რომ ამაღლებულ კვლებში წყალი უფრო ადვილად დაიწრიტება და სინოტივე გამოეცლება. ადრეული მცენარის დასათესად დაქანებულ კვლებს აკეთებენ, ისე კი, რომ ამაღლებული მხარე ჩრდილოეთისკენა აქვს და დაქანებული სამხრეთისკენ. ესეთი კვლები უფრო ხურდებიან მზისაგან. ამისთანა კვლები უნდა გაკეთდეს კედლის ან ღობის ძირში, და მაშინ უფრო ბევრი სითბო დადგება. ამ კვლებში ადრეულ მცენარესა სთესენ და ძალიან კარგიც მოდის.

კვლები უნდა იყოს გარიგებული აღმოსავლეთიდგან-დასავლეთისკენ (სიგძეზედ); მაშინ მზე ისე აღარ ახმობს კვლის თხრილებს და ჩრდილოეთის ქარიც ველარა ჰხვდება კვლებს რადგან კვლის ნაპირს ამაღლებული მიწა ეფარება.

გადასარგავი ბოსტნეულის მოსაყვანი კვლებიც საჭიროა ბოსტანში. ამას ისეთ კვლებს ურჩევენ ხოლმე, რომელთაც ჩრდილოეთის მხრივ მოფარებული აქვსთ და აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრივ კი ღია. ამ კვლების მიწა ძალიან მსუქანი უნდა იყოს. ზოგგან გადასარგავი ბოსტნეულის მოსაყვანად ესრე ამზადებენ მიწას: აიღებენ ერთ წილ დამწვარ ბალახს ან ფოთოლს, ერთ წილს დამწვარ სასუქს და ერთ წილსაც ქვიშას, აურევენ ერთმანეთში და კვლებში ჰყრიან. გადასარგავი ბოსტნეული ჩვენში მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში უნდა დასთესონ. ერთი თვის უკან გადარგვაც შეიძლება. გადასარგავი ბოსტნეულის კვლები უნდა სველად შეინახონ და მალ მალ გამარგლონ ხოლმე; ამასთან ხშირად თუ იყოს, უნდა გაათხელონ, რომ არ უჩრდილებდნენ ერთმანეთს და უფრო თამამად და ღონიერად ამოვიდნენ. ზოგიერთ გადასარგავ მცენარეს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩრდილება უხდება, მაგალითად კომბოსტოს გვარს; ეს იმიტომ, რომ ჭია აღარ გააფუჭებს, რადგან ჭიას მზის შუქი უყვარს, ჩრდილს კი ერიდება.

ზადასარგავ კელებში უფრო იმ მცენარესა სთესენ, რომელთ გაზდასა და მოსვლას დიდი დრო უნდება, მაგალითად: ყველა კომბოსტოს გვარ მცენარეს.

ამ გვარად ბოსტნის კეთებას ჯაფა უნდა, მაგრამ გამოსავალიც ძალიან დიდი ექნება, რადგან რასაც მოიყვანს კარგი და ფასიანი იქნება. რაც უნდა ბევრი ჯაფა და ხარჯი მოუვიდეს კაცს ამისთანა ბოსტნის კეთებით, მაინც თუ რიგიანად მოიქცა—ერთი ათად დაჯილდოვდება. ამისთანა ბოსტნები ჩვენში დიდ სარგებლობას მოუტანენ პატრონს და უმეტესად იქ, სადაც ადვილია ბოსტნის მოსავლის გაყიდვა, ესე იგი ახლო არის ქალაქზედ და შარა გზაზედ. ამისთანა ბოსტანს პირველ წელიწადს თუ უნდა დიდი ჯაფა, თორემ მერე ბევრი აღარა ფერი და მოგება კი ყოველთვის დიდი იქნება: ჯერ ერთი, რომ არც ერთი თესლი არ დაიკარგება უბრალოდ და პატრონი ყოველთვის დაიმედოვნებული იქნება მოგებაში. ჩვენებურ ბოსტნებში კი ერთი თესლი კი არა და ათასიც გაფუჭდება, რადგან სრულებით არ შეიმუშავებენ ხოლმე მიწას, და რაც ამოვა, იმის მეოთხედსაც ფეხით გაჭყლეტენ ხოლმე; ამას გარდა მეორე წელიწადსაც ისეთივე კეთება უნდა, როგორიც პირველ წელიწადს. ჩვენ ბოსტნებში მოჰყავსთ მხოლოდ: კომბოსტო, ხახვი, კიტრი, ნესვი და საზამთრო,—სხვა თითქმის არაფერი; აგრეთვე ბევრი ალაგიც უბრალოთა რჩება, რადგან ჩვენმა მებოსტნეებმა არ იციან, თუ რა ალაგიდამ რა სარგებლობის გამოტანა შეიძლება. აქ აწერილი დაწინავებული ქვეყნის ბოსტნის კეთება, ასწავლის, თუ რა მცენარეებია კიდევ საბოსტნე და ამასთან ჩრდილში რა უნდა დათესოს, რომ მიწა უქმად არ ეგდოს, ქვიშიანში კელები როგორ გაკეთდეს და ნოტიოში როგორ, რომ დათესილი კარგა მოვიდეს და სხვ. კაი სწავლის მიბაძვა კარგიც არის და გამოსავალიცა აქვს. ესეც უნდა დაუმატოთ, რომ შემოულობავი არა ვარგარა, და ბოსტანს ხომ სულ ბევრი დააკლდება ფარღალალაობით.

---

## რქიანი საქონლის მომფენი ჭიფხიანი ყვანა.

ეს მომდები სენი ძალიან სწრაფია და უფრო შემოდგომაზედა და გაზაფხულზედ აჩნდება საქონელს, დიდი წვიმების დროს. როგორც ჭირი და ფილტვების ლპობა, ესეც ისე მარტო რქიან საქონელს: ხარს, კამეჩს, ძროხას, ცხვარს და თხას აჩნდება ხოლმე, სხვებს კი ცხენს, ვირს, ჯორს და სხვ. არ ეკარება.

### ამ სენის საცნობი ნიშნები და იმის მსვლელობა.

რომელ საქონელსაც ჭიფხიანი ყვანა შეეყრება, ის მოიწყენს და აღარც იცოხნება; თუ ფურია—რძე სრულებით უშრება, წელში იკაკვება და ძალიან წყურვილი მოსდის; უკანა ფეხები უერთდება (აახლოვებს), მუცელი ებერება, ტანში განავალი თხელი, მყრალი, ლორწო გადაკრული და ხშირად სისხლიანი იცის; ამ სენიან საქონელს სულ წოლა უყვარს და როცა მუცელზე ხელს დაადებენ, მაშინ ტკივილს იმჩნევს; უკანა ტანის გარეთი ბოლო დაუსივდება, მუქი წითელი ფერი აქვს და გადმოუბრუნდება ხოლმე; ყვანა უფრო და უფრო უძლიერდება: წამდაუწამ მყრალ, სისხლიანი ჩირქის გვარ სითხეზედ გადის და როცა კი გავა ხოლმე სულ უკანა ფეხებზედ ჩაჰდის წურწურით. ბოლოს იბერება და, სრულებით გამხდარი და გამხრჩვალი, კვდება.

### ლეშის ცვლილება (სიკვდილის შემდეგი ნიშნები).

მუცელი რომ გაუჭრან: კუჭი გაბერილი და მოუნელებელი საჭმლით გატენილი ექნება; ნაწლევები, მეტადრე მსხვილი ნაწლევები წითელი ზოლებით და ლაქებით ექნება მოფენილი; მესამე კუჭში, (წიგნარაში) იდგება მყრალი თხლე; კუჭზედ აქა-იქ ლურჯი ლაქები ეყრება (ანტონის ცეცხლი).

რადგან ბევრნი ამ ავადმყოფობასა და ჭირს ერთმანერთში ურევენ, ამის გამო აქ მოკლედ ავწერთ იმ ნიშნებს, რომლითაც ეს სენი განირჩევა ჭირისაგან.

1. ყვანით ავადმყოფ საქონელს პირში არც წითელი ლაქები აყრია და არც აბებრებულები აქვს ჭირიან საქონელს კი დაეყრება ხოლმე.

2. ჭირიან საქონელს წელი ძალიან ასტკივა, და ამ სენიანს კი სრულებითაც არა.

3. ჭირიანმა საქონელმა ხიხინის მსგავსი ხველა იცის, მაგრამ ამ სენიანს კი ხველა სულ არა აქვს.

4. ყველაზედ შესანიშნავენი ის არის, რომ ეს ავადმყოფობა ერთბაშად ბევრ საქონელსა ჰმარცხავს (ოცსა და ოცდა ხუთს) და ჭირი კი თავდაპირველად სულ ორს ან სამ სულს გამოაჩნდება ხოლმე. ამასთან ჭირი ერთსა და იმავე დროს რამდენსამე სოფელს მოეფინება ხოლმე, ხანდახან მთელ მაზრასაც, მაგრამ ჭიფხიანი ყვანა კი უფრო ხშირად მარტო ერთ სოფელში ჩნდება. ეს ავადმყოფობაც თუმცა საძაგელი თვისებისაა, მაგრამ მაინც მორჩენის სახსარი აქვს და ჭირის მორჩენა კი, როგორც უკვე ვსთქვით, შეუძლებელია; ყველა ჭირიანი საქონელი უთუოდ კვდება. ჭირი ყოველ დროსა და ამინდში ჩნდება ხოლმე და ეს სენი კი მარტო შემოდგომაზედა და გაზაფხულზედ.

### ამ სენის მორიდება.

საქონელი შეციებასა და ჩიავლვრებს უნდა მოარიდონ; საძოვარზედ ადრე არ უნდა გამორეკონ, მეტადრე უზმაზედ; საფლობსა და ჭაობიანს საძოვრებს უნდა მოარიდონ; ძალიან ცივი, მაგალითად, წყაროს წყალი არ უნდა ასვან; ტანი ხშირად სამურველით უნდა დაუწმინდონ, ან ნამჯით დაუზილონ.

### წამლობა.

ამ მომფენი ავადმყოფობის წამლობა ძალიან ძნელია, მეტადრე მაშინ, როდესაც საქონელი მოუძლურდება, სულა წევს და თხელი მუქი-მწვანე ტანის განავალი დაუწყებს მუდმისად უკანა ფეხებზედ და კუდზედ დენას.

ეს სენი გაჩნდება თუ არა, როცა ტანში გასული ჯერ არც მყრალი და არც სისხლიანია, ეს წამალი უნდა აძლიონ: ერთი ბოთლი ქერის ნახარში (ქერის ფქვილისა), ორი კვერცხის გული, ერთი კოვზიც მარილი უნდა ერთმანერთში აურიონ და ასვან ყვანიან საქონელს ორ საათში ერთი სტაქანი, (ჭიქა).

ეს წამალი მთელ დღეს უნდა აძლიონ. ამასთან საჭიროა ლოპოიანი ოყნა გაუკეთონ, მაგალითად: სელის ნახარშისა, ზეითუნი ან სხვა ზეთისა, რომელშიაც ცოტა ფქვილი და ლენცოფა ბალახი უნდა გაურიონ; მუცელზედ უნდა სკაპიდარი (თეთრი ნავთი) წაუსვან და ცეცხლი წაუკიდონ, რომ ბალანი სულ გაეტუსოს და ტყავი აუბებრდეს.

თუ საქონელი მეორე დღეს უკეთ არ შეიქმნას, უნდა აილონ ერთი ბოთლი არაყი ექვსი მისხალი წმინდად დანაყილი ქაფურ და ერთი საჭმლის კოვზი მარილი ერთმანეთში ძალიან უნდა აურიონ და საათში ერთი სტაქანი ასვან ავადმყოფ საქონ

ლს. შემდეგ მკერდის ორივე გვერდზედ, მუცლის ახლოს უნდა პატრუქები გაუყარონ და ფილთა ამუშაონ ათ დღეს. თუ ამ წამალზედ ორი დღის უკან უკეთ არ შეიქნას, ეს ძალიან ცუდი ნიშანი იქნება; მაშინ მორჩენა ძალიან ძნელიღა იქნება. მაგრამ მაინც ერთიც უნდა სცადონ: ერთ ბოთლ მუხის ქერქის ნახარშში ექვსი მისხალი რკინის შაბიამანი უნდა გაურიონ და ეს წამალი დღეში სამი ბოთლი დაალევინონ: დილით, შუადღისას და საღამოთი.

### გაფრთხილება, რომ ეს სენი სხვასაც არ გადაედოს.

1. ავადმყოფი საქონელი კარგამყოფებზედ გაცალკევებით უნდა შეინახონ.

2. ქვეშ ნაგები ნამჯა, და ნეხვი უნდა სწრაფად დაწვან.

3. მომკვდარი საქონელი უნდა ღრმად ჩაფლან მიწაში, ამასთან საძოვარზე და შარა გზაზედ გაშორებით.

4. ტყავი კარგა უნა დაალბონ ნაცარტუტში, ხოლო რა ნივთებსაც ახმარებდნენ ავადმყოფი საქონლის სადგომში, უნდა რამდენჯერმე გარეცხონ ნაცარტუტში.

5. აგრეთვე გომი, ან სადაც ავადმყოფი საქონელი მდგარა, კარგად უნდა დაწმინდონ, შიგ ქარი ამუშაონ, მიწაზედ რაც მეტი იქნება მიკრული (მიტკეპნილი)—აფხიკონ, მერე გადათხარონ და ახალი მიწა დააყარონ; რაც ხის იარაღი იქნება ნაცარტუტში გამოხარშონ, რკინეული—გამოწვან და წნელები კი დაწვან.

6. ამასთან სენი რაწამს გაჩნდეს, მაშინვე უნდა მოხელეებსა და აქიმს შეატყობინონ.

### თურქული.

თურქულიც მომფეში ავადმყოფობაა და უფრო ცხელ ზაფხულშია და წვიმებიან გაზაფხულზედ იცის ხოლმე გაჩენა.

თურქული გადაედება ხოლმე ავადმყოფისაგან კარგამყოფს მიკარებითა, ან შეხებით ესე იგი მაშინ, როდესაც კარგა მყოფი საქონელი იმ ველზედ გაივლის, სადაც თურქულიანებს უვლია; ჩლიქებ შუა გამომდინარე ჩირქი ისეთი ცუდი თვისებისაა, რომ ძაღლმა ან ცხენმა რომ მიაკარონ ფეხი, ამათაც გადაედება ხოლმე. ეს ავადმყოფობა არ არის მომაკვდინებელი ხასიათისა, თუ კი პატრონებმა კარგა უგდეს ყური და თავის დროზე უწამლეს.

### ამ სენის ნიშნები.

თურქულიანი საქონელი შფოთიანობს და საჭმელსაც უმადურათა სჭამს; ერთ რომელიმე ფეხზედ დაიწყებს კოჭლობას; ჩლიქების წვერს რომ ხელი დაადოს კაცმა გახურებული და გასივებული ექნება და ძალიანაც ეტკივება. ორი ან სამი დღის შემდეგ ჩლიქების წვერებზე, შიგ გახლეჩილთან, წვრილ ბებრებს დაყრის, ეს ბებრები სკდებიან და იქიდამ გადამდები ჩირქი დაიწყებს დენას. თუ საქონელი ორ წინა ფეხზედ ან უკანაზედა კოჭლობს, (ხანდახან ოთხივეზედ), მაშინ ის სულ გვერდზედა წევს და მტკივან ფეხებს წინ გაიფშეკავს ხოლმე. ხან-და-ხან, მეტადრე თუ არა სწამლობენ, ისიც მოხდება ხოლმე, რომ წვრილი ბებერები იარაებად იქცევიან და ჩლიქის საცმელი სცვივა და ბოლოს საქონელი ტკივილისაგანა და მოუძლურებისაგანა კვდება.

### გაფრთხილება.

საქონელი ყოველთვის წმინდად უნდა შეინახონ, მეტადრე ჩლიქები უნდა დაუწმიდონ ხოლმე; ზაფხულის სიცხეებისა და გვალვის დროს უნდა ხშირად აბანონ ხოლმე ან ყოველ დღე ჩლიქები სველი წყლით დაუსველონ; საქონელი იმ საძოვარზედ არ უნდა გარეკონ, სადაც წინა წელში თურქულიან საქონელს უძოვნია; დავარდნილი საქონელი არ უნდა იყიდონ, და თუ იყიდეს, ცალკე უნდა შეინახონ და უწამლონ.

### წამლობა.

თუ მთელ ფარასა სჭირს თურქული, მაშინ იმისთანა საძოვარზედ უნდა გარეკონ, სადაც წმინდა და რბილი ბალახია; როცა კი გომში ჰყავსთ, ქვეშ მალმალ ახალი ნამჯა უნდა გაუშალონ ხოლმე. დასივებული ჩლიქი ცივი ძმარ-წყლით უნდა დაუსველონ ხოლმე და ჩლიქებ შუა თუ ბებერები ეყაროს, ერთი სტაქანი სკაპიდრის-ზეთში, ერთი მისხალი სპილენძის შაბიამანი უნდა გაურიონ და იმითი დაუსველონ ხოლმე ბებერები.

თუ იარები ჰქონდეს ჩლიქებზედ, მაშინ გახურვებული რკინით ან ლაპისით (აფთექაში ჰყიდიან) უნდა ამოუწვან.

თუ ჩლიქები ძალიან დაუსივდეთ და სტკივოდეთ, მაშინ თივის ნაძირალი (თესლი, ყვავილი) და ცოტა ლენცოფა უნდა მოუშუშონ და ის დაადონ. თუ აცივებდეს და ყაბზად იყოს, ერთ ბოთლ წყალს ოცდა ოთხი მისხალი გლაუბერის მარილი (ტბის ქაფი, მარილსა ჰგავს. აფთექაში ჰყიდიან) უნდა გაურიონ და ის ასვან.

---

## ქიზიყელები ინგილოებში.

(გაგრძელება).

მე ვგონებ, რომ ქიზიყელებსავით შეწუხებული და გაღარიბებული ხალხი ქართველთაგან ცოტა იყოს; მასთანავე მურტლათ და უფაქიზოთ მცხოვრებნი. მთელი ქიზიყის ხალხი ერთად რომ შეკრიფოთ და თვალი გადაავლოთ მაღლობიდამ, უთუოთ იფიქრებთ: მთელი ეს ხალხი თავის სიღარიბისა გამო სამოწყალოთ სახლში წასვლას ხომ არ ემზადებაო. ესენი ყველანი, რომელთამე რჩეულთა გარდა, გაწეწილ და გაპენტილ ცის-ფერ ხამებში არიან გახვეულნი. დიდს უსიამოვნებას მოჰგვრის ხოლმე კაცს, როდესაც მათ ამგვარ ტანსაცმელში ხედავს. საწყენოთ ნუ მიიღებ მკითხველო; თუ ვსთქვი, რომ ქიზიყის ერთი სოფლის ტანისამოსს რომ ეხვეწო რიგიანი კაცი ორ თუმნათ არ იყიდის, ამისათვის რომ არა ღირს ამ ფასათ. ინგილოები კიდევ აქაურს ხალხს და მათს ცხოვრებას, დაღისტნის ხალხს და მათ ცხოვრებას ადარებენ. „ქიზიყის ხალხიო, ამბობენ ისინი, დაღისტნელებსავით ღარიბნი და უმახვილოთ მცხოვრებნი არიანო." მართლაც რომ ესენი დაღისტნელებსა ჰგვანან. მთელი მათი შინაური მოწყობილება დაღისტნელების შინაურს მოწყობილებასა ჰგავს. აქაც და იქაც სოფლები არის დაშენებული კლდეებზე. სახლები აშენებულია ზოგი მიწას ზევით, ზოგი გომსავით მიწაში ჩადგმულია. შინ ავეჯეულობა მიყრილ-მოყრილათ ძევს და მათ მორის სუფევს მთელის თავის დიდებით უფაქიზობა. აქაც და იქაც კერას გარეშემო სხდომა და ცუდ უბრალოთ ყაყანი იციან. აქაც და იქაც სახედრებს შინაურს ცხოვრებაში ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ. როგორც აქ, აგრეთვე იქ სახედრები მრავალნი არიან, უყვართ და გამოსადეგნიც არიან, რადგან ორივენი კლდეებზე სცხოვრებენ. აქაც და იქაც ყველაფერს ვირებით ეზიდებიან სოფლებში. საქონელს თითქმის მხოლოდ მინდორში აქვს მისთვის მნიშვნელობა; თორემ შიგ სოფლებში უფრო არ ხმარობენ. დაღისტნელებსავით აქაც წყალს და საწისქვილეს უფრო ღარიბები, სახედრებით ეზიდებიან. აქ მამაპაპური წისქვილები ძლიერ ბევრია კლდეზე მიკრულები, რომელთაც ვიდრე ზედ არ მიადგები, ვერ დაინახავ. ხელის წისქვილებიც ბევრი აქვთ. დაღისტნელებსავით აქაც თხუნ-

ეროვნული

ველსავით მიწაში ცხოვრებენ თავის უწმინდურობით. ქიზიყელი ქათამს, ბატს, ინდოურს რომ გაბდღვნის, ბუნბულს იქვე ან ცეცხლაპირში მოაგროვებს ან სადმე სახლის კუთხეში, რომ მერე გამოარჩიოს; სხვაგან არსად წაიღებენ, სირცხვილია. ერთის სიტყვით ყველაფერი ისრე მიყრილ მოყრილია სახლში, რომ შეგეზიზღებათ, მკითხველო, იქ რომ შეხვიდეთ; ყველაფერს უცოდინარეობის, სიმურტლის, სიჭუჭყის და სიღარიბეს იმათი სიღნაღში ვაჭრობა უფრო კარგათ ამტკიცებს. ყველამ ვიცით, რომ კაცისათვის პურს გარდა საჭიროა კიდევ ტანისამოსი და ფული ხარჯში მისაცემათ,—სად შოულობს ქიზიყელი ამაებს? რასაკვირველია, თავის დედა ქალაქში—სიღნაღში. ამ ქალაქის შესავალ გზებზე რომ დადგეთ დილით, ერთი და ორი არ დაგხვდებათ მიმავალი ქიზიყელი კაცი, მაგრამ უფრო მომატებულათ დედაკაცები თავიანთ ვირებით. ესენი ყველანი საბერძნეთის ღმერთებსავით თავჩაკიდებული თავიანთ ჩადრებით სხედან ფარჩის დუქნებში და ვაჭრობენ. ქიზიყში უფრო დედაკაცები ვაჭრობენ, მეტადრე ფარჩის ყიდვაში, ვიდრე კაცები, რადგან პირველები უფრო კარგათ იცნობენ მათ ღირსებას, აგრეთვე შავათ ჩაცმული და ჩადრებში გახვეული დედაკაცები მეიდანზე ორ თუ სამ რიგათ ერთ ხუთ ექვს საჟენზე სხედან და კვერცხს, ქათამს, მწვანილს, ჭინჭარს, ბალბას, წიწმატს, ქინძს შეკრულ კონებათ და გამომცხვარ შოთი პურებს ნახევარ ფარათ ჳყიდიან; მერე ამ ფულით იქვე ან ფარჩას ყიდულობენ, ან შინ მიარბენინებენ, რომ სხვა საჭიროებაზე მოიხმარონ, ან კიდე ამ გვარ წვალებით თითო გროშობით ფოშტის ფული შეაგროვონ, ერთის სიტყვით გზა-კვალი ისრე აიმსება ხოლმე დილით სიღნაღში მიმავალ აკონკილ ტანსაცმელში გახვეულ ქიზიყელ დედა-კაცებითა და კაცებითა, რომ მათ გზაზედ ფეხს ვერ აუქცევთ. ესენი ყველანი, დიდიც და პატარაც საზოგადო საცხოვრებელს დაეძებენ; მაგრამ ყველანი, რაც უჭირთ, იქ ვერ შოულობენ. ამის გამო ისინი იმერლებსავით მოიფანტებიან ხოლმე მთელ საქართველოში. მაგრამ ქიზიყელების გაჭირვებას ტალკვესი უფრო ზაქათალის ბაზრა არის. რა არის ამის მიზეზი? კაცობრიობის ისტორია გვემოწმება, რომ უწინდელ დროში ბევრს ხალხებს თავიანთი მიწა-წყალი, რომ გაუღარიბებიათ უცოდინარეობისაგამო, მერე დამშეულან: ამისა გამო რომ უშველონ ახლა თავიანთ თავს, ისინი სხვა რომელსამე მდიდარ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებს თავს დასხმიან, ამოუწყვეტიათ, ან გაურეკნიათ, რომ რა არის თითონ იცხოვრონ იმათ ნაყოფიერ ნიადაგზე. მაგრამ თქვენ ნუ მომიკვდებით მკითხველო, რომ ქიზიყელები ასრეთი არ იყვნენ. ესენი თავიანთ ვაჟკაცობით არც უწინდელ თავიანთ მამა-პაპასა ჳგვანან და არც ამ მძლავრ ხალხებსა. ესენი იმათ წინააღმდეგ ღარიბნი და დამბლანი გამხდარან. მათი მიწა-წყალი თუმცა მდიდარია, მაგრამ თუ ავდრიანი წელიწადი არ დაუდგა მოსავალს, არაფერი არ მოვა; მაგრამ თუ ავდრები დაუდგა ნათესს, მაშინ, უეჭველია, ორი წლით წინ დათესილი და გვალვისაგან ამოუსვლელი ამოვა მიწიდგან და ისრეთ მოსავალს მისცემს ეს ნაგერალი, რომ ახალ ნათესს არ დაუვარდება. ასრე მოიქცა მაგ. ქიზიყის ბუნება 1866 წელს, ჯერ გვალვისაგან პურის მოსავალი სულ წახდა; მაგრამ თიბათვეს ისრეთი ავდრები ასტყდა, რომ ნაგერალი ფეტვები გენახათ, გაგიკვირდებოდათ. ამ გვარათ წარსულს წელს ქიზიყელს პურის მაგიერი მოსავალი ფეტვმა მისცა. უეჭველია, რომ ქიზიყის ბუნება მდიდარია; მაგრამ უწყლობა აჭირებს საქმეს; ამისა გამო, მიწა რომ საზრდოს არ აძლევს ქიზიყელს, მაშინ იმას თავი უჭირდება და მოეხვეწება ზაქათალის მაზრაში, რომელიც არამც თუ ქიზიყთან შედარებით, არამედ მთელს საქართველოსთანაც, მეტის მეტათ ნაყოფიერია მოსავლით. ქიზიყელს ბუნება უარს ეუბნება მოსავლის მიცემაზე, მის გამოკვებაზე და ამისათვის ისიც აქ ზაქათალის მაზრაში მოდის, რომ სიმშილით სიკვდილს თავი არიდოს; ერთი გონივრული ანდაზაა: „ურია გაღარიბდა და ძველ ვალებს დაუწყო თხოვნაო“. სწორეთ ასე მოუვათ ხოლმე ქიზიყელებსაც. თუ იმის ქვეყანაში მოსავალი კარგი მოვა, ზაქათალის მაზრას ნახვას არ აღირსებს, შინიდამ თავს კარზე არაოდეს არ გამოჳყოფს; მაგრამ თუ უბედურება ეწვია და მისმა ქვეყანამ საწლო საცხოვრებელი არ მისცა, მაშინ ისევ თავის ძველს მეგობარს მოძებნის და დაუწყებს საკვებავის თხოვნას. მენდე მკითხველო, რომ უმოსავლო წელიწადებში აიმსება ხოლმე ეს მაზრა ქიზიყელებით. ესენი ზოგნი დროებით მუშაობენ ზოგნი კიდევ მოჯამაგირეთ წლობით და ნახევარ წლობით უდგებიან ინგილოებს; ზოგნი მეძროხეებათ, ზოგნი კიდევ საყდრის ყარაულებათ დგებიან; მაგრამ ამათი გასაკვირი ეს არის, რომ არაოდეს ყაულს არ შეასრულებენ. ამ თავით პირველ დადგომაზედვე გამოართმევს თავის აღას ინგილოს ან მთელი წლის ჯამაგირს ან ნახევარს, შემდეგში ორ თვეს, თუ სამს, უმსახურებს და მერე დაიპარავს ნივთებსაც სახლიდამ და გასწევს ქიზიყში უსვინიდისოთ; ძლიელ იშვიათად იქნება, რომ იმათში სვინიდისიანათ ვინმე ყაული შეასრულოს და პატიოსნათ მიიღოს დაპირებული სამოჯამაგირო ფული. რომელს ინგილოსაც კი ის მოჯამაგირეთ ჳყოლია, ყველანი ემდურიან, რომ ისინი ზარმაცნიც არიან და პირობის გამტეხნიცა. თითონ მე მყვანდა ქიზიყელი კაცი მოჯამაგირეთ, სოფლელი ბოდბის ხეველი; ოთხ თუმან ნახევარი ფული წინათვე გამომართვა, არც არაფერი გამიკეთა ზარალის მეტი, ბოლოს ერთი ნაბადი და ერთი უნაგირი მომპარა და ყაულის შეუსრულებლათ გაიქცა. ჩემი ფულები ეხლაც მიდის უგზო უკვლოთ. ერთმა კიდევ ხუთი ლეკური საცალო წაიღო თავის საკუთარის სულადით და ის წასული დღესაც მოდის თვითონაც და ის საცალოებიცა, თუმცა იფიცავდა ერთ კვირაზე მოვბრუნდები და საცალოებსაც მოვიტანო, რაც მე სოფ. ყორალანში მღვდლათა ვარ ერთი და ორი მაგ. არ მომხდარა ამ გვარი მათი შემარცხვენელი; ინგილოები იმათგან ეხლა ისრე არიან დაშინებულნი, რომ თავებს იხოცვენ და ამ თავით მოჯამაგირეს მათგანს ფულებს კი აღარ აძლევენ. ამის გამო ოდესაც ისინი შეწუხდებიან და შეატყობენ, რომ ეხლა იმათ ქვეყანაშიაც მოსავალი მოვიდა და საზრდო გამრავლდაო, თუნდ ოთხი ხუთი თვეც ემსახურნოს, ხელს იღებს ყველაფერზე; რადგან იცის რომ ინგილო მას არაფერს მისცემს პირობისამებრ ყაულის შეუსრულებლათ, მიდის თავის ქვეყანაში სვინიდისის შეუწუხებლათ. ამით, რა საკვირველია, ზარალი ეძლევათ ისევ იმათ, და არა ინგილოებს, რადგან პირველებს ნამსახურევი ეკარგებათ. და ეს ამბავი მე იმას მაფიქრებს, რომ ამგვარი ქიზიყელები იმისათვის კი არ მოდიან ამ მაზრაში, რომ მოჯამაგირეთ დადგნენ და ფულები მოიგონ, არამედ მისთვის, რომ უმოსავლო წელიწადებში კუჭი გაიძღონ ხორაგითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რომ ფოშტის ფულის მოკრეფის დრო მოვა, ხალხი უთუოთ ერთი აწიოკდება და მრავალი მათგანი ზაქათალის მაზრაში მორბის, რომ რა არის ფული იშოვოს მისაცემი. აქ ის ინგილოს ჰპირდება, რომ ყანაში ან სხვა საქმეში უშველის, თუ კი ეხლა მას ხელს გაუმართავს ფულით. ამ შემთხვევაში ისიც ფულს ერთს ორათ აძლევს ბარათის ჩამორთმევით. აგრეთვე მოელენ ხოლმე თავიანთ ეკკლესიების დღეობებისთვის ღვინის საშოვნელათა. სამი წელიწადია, რაც სიღნაღის უეზდში სეტყვა აფუჭებს ღვინის მოსავალს. ამის გამო იქ ღვინოს ადვილათ ვერა შოულობენ ხოლმე მცხოვრებლები თავიანთ საჭიროებისათვის. ეს არის მიზეზი, რომ სირაჯები აი რაოდენიმე წელია, რაც აქ ჰყიდულობენ ვენახებს ღვინოებისათვის და გააქვთ სავაჭროთ. მაგრამ აქედგან გატანილი ხუთი ექვსი საპალნე ღვინო რათ ეყოფა ქართველ კაცს. მისი ყანყრატო ძლიერ სქლათ უშვებს ღვინოს მუცელში. აი ეს არის მიზეზი, რომ ქიზიყელებს ღვინო არა რჩებათ დუქნებში დღეობებისთვის და ინგილოებში მოდიან მის საშოვნელათ. წლეულს წმინდა ნათლის მცემლობის და მღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიების დღეობებისთვის ღვინის საშოვნელათ ფანიაჭულები და ბოდბის—ხეველები ინგილოებში დადიოდნენ. იმათ ჰსურდათ აქ ღვინოზე ემუშავნათ და ბევრმაც იშოვნა ამ გვარათ ღვინო და წაიღო. აბა ეკკლესიის დღეობას თუ იმათ ღვინო არ გადაპრუწეს, როგორ შეიძლება, ეკკლესია დაემდურებათ. მაშ, დღეობებში სიმთვრალე უნდა, რომ იმათ „ბახუსის" ღმერთს ესიამოვნოს. მე როგორც მიამბეს, დამარწმუნეს ღვინოზე სამუშაოთ მოსულმა გლეხებმა, უამისოთ არ შეიძლება, რადგან მათში ეს ძლიერ დიდი შემარცხვენლობაა. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენო, მკითხველო, რომ იგივე ხალხი, რომელიც დღეობას თუ არ დაესწრო არ შეიძლება, ძლიერ გულ-გრილი არის სარწმუნოებაზე. ესენი ამით მთლათ ინგილოებსა ჰგვანან, რომელთაც აგრეთვე ყურ ქვეშაც არ მოუდით არც ერთი სარწმუნოება. ამათ ორივეს აზრით, რომელი ხალხიც ძლიერი და მძლავრია და ცხოვრება გაამაყებული და გათამამებული აქვს, იმისი სარწმუნოება ყველა ხალხის სარწმუნოებაზე უმჯობესია.

რას ჩამოგვეკიდა ეს დალოცვილი ინგილო? მგონებ უსიამოვნებით ამბობს ჩემზე მკითხველი ქიზიყელი და მიწყრება, რომ მე მის ჭუჭყს, სისუსტეს, სიდამბლავეს საქვეყნოთ ვაცხადებ. ნეტავი შეგვატყობინა, რაზე ჩამოგვმტერებია ასრე უწყალოდ ეს ვილაცა ინგილოა? მგონებ, ამბობს გაშფოთებული ქიზიყელი. ამის შეტყობა, ვგონებ, ჰსურთ აგრეთვე ზოგიერთს ჩვენ მკითხველებსაცა. რადგანაც მე თქვენ ორივეს შეგატყეთ სურვილი ამავის შეტყობისა, ჩემზე გამწყრალო ქიზიყელო და შენ ჩვენო მკითხველო, ამისათვის მე გამოგიტყდებით და გეტყვით: მე არავისი მტრობა არა მაქვს; მე ქიზიყელები ისრე მიყვარან, ვითარცა ჩემი საკუთარი ძმები, და რადგან ჩემი სიყვარული მათდამი ძმურია და მეგობრული, ამის გამო ძლიერა მსურს, რომ ამით ქიზიყელები შევარცხვინო და მოვაქციო; მე მსურს, რომ ქიზიყელმა ჭკუა მოიპოვოს, სიწმინდე და სისუფთავე შეიყვაროს, ცხოვრება გაიუმჯობესოს და გაიფაქიზიანოს. მაგრამ რადგან მე ვიცი, რომ თქვენ არ დამერწმუნებით, მე გავბედავ მოგახსენოთ ორი გონიერული ანდაზა: „მოყვარეს—პირში, მტერს პირს უკანაო; მოყვარესთვის პირს უკან მთქმელი ეშმაკის მოციქულიაო." მაშასადამე ქიზიყელო მე შენი თავი მიყვარს, რომ გეუბნები ყველაფერს და საქვეყნოთაც ვაცხადებ. მართლაც, შენ რომ ეხლა კლდის ნაპირს იდგე და ის მიწა ინგრეოდეს და შენ გექადოდეს კლდეში გადაგდებას და მოკვლას, მე ეს ვიცოდე, მაგრამ შენგან დავფარო, არ შეგატყობინო და არ გაგაფთხილო, ამით მე შენ სიყვარულს დაგიმტკიცებ, თუ მტრობას? როგორ ფიქრობ ქიზიყელო? შენი არ ვიცი, მე კი გიპასუხებ, რომ შენ ამ შემთხვევაში მტრობას გაგიწევდი, ამისათვის რომ შენი დაღუპვის ყასტში ვიყავი; თუ ეს არა მსურვებოდა, მე შეგატყობინებდი და მოგაშორებდი საშიშრო კლდის ნაპირს. აი, ქიზიყელო, შენი საქმეც სწორეთ ესე არის. შენ თუ ეხლა შენი საშიშრო მდგომარეობა არ შეგატყობინე და საქვეყნოთ არ გამოვაცხადე, მე ამით დიდ მტრობას გაგიწევ, რადგან შენი ავათმყოფობა არავის არ ეცოდინება და არც შენთვის წამლობას ვინმე ეცდება; ამისაგამო შენი ჭირები ისრე მოგერევიან, რომ უგვზოულოთ დაიღუპები. მაშასადამე რაც დამრჩა შენზე სათქმელი ესენიც რომ წარმოვთქვა, ძლიერ სახეირო და სასარგებლო იქნება შენთვის.

რიცხვი ინგილოს კაცებისა მეტობს დედაკაცების რიცხვზე. როგორც ეტყობა ზაქათალის მაზრაში მამაკაცების მოსავალი სჯობია დედა-კაცების მოსავალს. აქ თითქმის ყოველს სოფელში მამრი უფრო მეტი იბადება, ვიდრე მდედრი; ამასთანავე მდედრი უფრო მეტი იხოცება ვიდრე მამრი. ეს არის მიზეზი, რომ ყოველი ინგილო ვერ აკმაყოფილებს ცოლის შერთვით თავის სურვილს. ამის გამო ის რომ თავიანთ შორის ვერ შოულობს ქალს შესართავათ, მაშინვე დაუყოვნებლივ ქიზიყს მიჰმართავს ხოლმე. ქიზიყელები რადგანაც საზრდო საცხოვრებელი ამათ ქვეყანაში ნაკლებათ მოდის, სიხარულით მიათხოვებენ ხოლმე ინგილოს ქალს, მაგრამ იმისთანას, რომელიც ან ობოლია, ან ყრუ, ან უმზითვო; ერთის სიტყვით ისრეთს, რომელსაც არ შეუძლიან თავიანთ ქვეყანაში გათხოვება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, იმათ ქალებს არ მიათხოვებდნენ, თუ რომ ხელ-ნაკლებნი არ იყვნენ. მაგრამ ეს ძლიერ ცუდია და მათი დიდათ შემარცხვენელი, რომ ისინი, რომელნიც არვარგნი ქალები არიან, აქ ათხოვებენ. თუ ათხოვებენ კარგები უნდა გამოათხოვონ, რომ თავი ისახელონ კარგებით, თუ არა და სჯობია სრულებით არ გამოათხოვონ; პირველად ამისათვის, რომ ისინი ქიზიყს არცხვენენ, მეორეთ ამისათვის, რომ ეს უბედური ქალები ყველაფერს დაურიდებლათ სჭამენ და იხოცებიან. ჯერ აქ მდე არ ყოფილა მაგალითი, რომ რიგიან კაცს აქაურს გლეხისათვის რიგიანი ქალი მიეთხოვებინოს. რომელიც ობოლი და ქვრივია წვრილი შვილებით ღვთის ამარათ დარჩენილნი, ისეთებს აძლევენ ინგილოებს. ქვრივს რომ გამოათხოვებენ, მაშინ მას პირველ ქმრის შვილებსაც თან გამოაყოლებენ ხოლმე, რადგან ამ ყმაწვილების გამოკვება ძლიერ ეძნელებათ. ამის შემდეგ ამ ყმაწვილების პატრონები, ცოცხალნი არიან ისინი თუ არა, არაოდეს არ მოიკითხავენ, თუნდ იმათ თათრობაც მიიღონ. მესამეთ ამისთვის უნდა, რომ რამდენიც უფრო და უფრო არვარგი და ცხოვრებაში გამოუსადეგი ქალები თხოვდებიან, იმდენათ ინგილოები რწმუნდებიან, თუმცა უსაფუძვლოთ, რომ ქიზიყის ხალხი გამოუსადეგი და

არეარგია. ამის გამო აქაური ხალხები, ლეკები, ინგილოები და სხვ. მათ პატივს აღარა სცემენ, დაახლოების მაგიერათ უფრო ჰშორდებიან; აღარც კაცს კაცად რაცხვენ, და არც დედაკაცს დედაკაცათ. გარდა ამისა, რადგანაც ქიზიყელებს ხედვენ, რომ ისინი ბევრათ ნაკლებნი არიან თავის ვაჟკაცობით აქაურს კაცის ვაჟკაცობაზე, ამისათვის მთელს ქართველებზე ამბობენ, რომ ჩვენ დროს ამათსავით სუსტი და დამბლა ხალხი კავკაზეთში აღარ იპოვებაო, თუმცა უწინ ძლიერ გათქმულნი ყოფილან თავიანთ ვაჟკაცობითო. მათი აზრი, რასაკვირველია, უსაფუძვლოა, მაგრამ ეს კი არის, რომ ეხლა აქ მუსურმნობა უფრო ვრცელდება, ვიდრე ქრისტიანობა. აი ამ გვარათ ჩვენი ქიზიყელები თავიანთ ლაჩრობით ამცირებენ მთელს ქართველს ნაციას. ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი, რომ „ციხე შინიდამ გატყდებაო“.

იქნება ოხუჯმა და ლაზღანდარა ქიზიყელმა, ვითომც ჩემს გამოსაჯავრებლათ, სთქვას: ჩვენი რა ბრალიაო, თვალები სადაგაქვთო, რათ მიგყავთ არეარგი ქალებიო? ჩვენ ყოველთვის იმასა ვცდილობთო, რომ ყოველი არეარგი ქალი და კაცი სულ თქვენ ქვეყანაში გამოვგზავნოთო; ჩვენთვის ოხრები და ღარიბები საჭირონი არ არიანო; ისინი რომ შევინახოთო, ჩვენ ზარალის მეტს აბა რას გვარგებენო? ამისათვის ყოველს არეარგს, ყრუს, ბლუს, ასონაკლებს ყველას თქვენ ქვეყანაში ვგზავნითო; თქვენ მაინც გაკლიათო. ჩვენ მათი გამოკვება არ შეგვიძლიანო, რადგან ჩვენ ქვეყანაში უსმენლობა არის. გარდა ამისა ისინი ჩვენში მეტნი არიან, თქვენ კი გაკლიათ და უმზითვოთაც თხოულობთ; ამასთანავე პირ იქით ფულებსაც გვაძლევთ.—მეც, შენ ჩემო მეპასუხე ქიზიყელო, ნუ გამიწყრები, მსურს ამ შენს პასუხზე პასუხი გითხრა: მართალია, რომ ქიზიყელები ინგილოებში ქალებს ათხოვებენ ინგილოების ჩვეულების კვალობაზე, ესე იგი ფულებს იღებენ, მაგრამ იმდენს არა, რამდენსაც ინგილოები იღებენ, ოდეს ერთმანერთში მათ ათხოვებენ. ეს თქვენთვის გასახარელია, ამისთვის რომ ფულები გეძლევათ. მაგრამ ნუ შემიწუხდებით ერთ რასმე გიამბობ: ერთი სწავლული იყო, რომელსაც, თუ მეხსიერება არ მატყუებს, სახელათ მალტუსი ერქვა. ამ მეცნიერმა სთქვა, რომ „ღარიბი კაცი სჯობს მოიკლასო, რადგან მის აზრით კაცს, რომელსაც საჭმელი არა აქვს, სჯობს მოკვდეს.“ ამან რა საკვირველია ეს ძლიერ უსაფუძვლოთა სთქვა, და ამისათვის კიდევაც არ გადურჩა გაკიცხვას ამ გვარ მხეცური აზრის წარმოთქმისათვის. თქვენი აზრიც ამ კაცის აზრთან თანასწორია. თქვენი პასუხიც იმას აცხადებს, რომ რადგანაც ჩვენ საკვებავი ყველასთვის სამყოფი არ მოგვდისო, ამისათვის, რაც საჭმელზე მომეტებული ხალხი გვყავსო, თუნდ კარგები იყვნენ, თუნდ არაო, სულ თქვენ გაძლევთო. ჩემო ბატონო, ქიზიყელო, ნუ გამიწყრები ერთი კიდევ მაქვს შენს პასუხის თაობაზე სათქმელი. შენ ამ გვარ აზრებით და მოქმედებით მიემგზავსები იმ ველურს, გაუთლელს და გაუნათლებელს ხალხებსა, რომელნიც საზრდო საცხოვრებელით ღარიბნი არიან, და ამის გამო ჩვილები რომ დაებადებათ, რადგან საკვებავი არა აქვთ, მაშინვე ხოცვენ, და იმდენს ინახვენ, რამდენსაც იმათი ანგარიშით ეყოფა წლის განმავლობაში საჭმელი. მაგრამ ამეებს თავი დავანებოთ და წამოვთქვათ ის, თუ რამდენი აქვს ქიზიყს უსაქმლობისა გამო ალალ-ბედზე და ღვთის ამარად გადმოტყორცნილი ინგილოებში ქალები და ვაჟები, რომელნიც თავიანთ უწინდელ ცხოვრებით, ჩვეულებით და მიმართულებით ბევრათ განირჩევიან, და ამისათვის აქაურს ცხოვრებას ვერ იფერებენ და იხოცებიან. სოფელს კახში არიან ქიზიყელნი ხიზნათ: სამი კომლი. პირველს შეადგენს 5 სული, მეორეს 4 და მესამეს 3. ამათში 4 მდედრია. მხოლოდ ქალი კი ქიზიყელთაგან გამოთხოვილი კახში არის 29. ამათში ერთი ორი სამი თუ გამოირჩევა რიგიანი, თორემ სხვანი გამოუსადეგნი არიან, უფრო ამისათვის, რომ ამათ მიუღიათ აქაური ჩვეულებანი, ინგილოს კილოთი ქართულ ენაზე ლაპარაკი და ინგილოური ტანსაცმელი, რომელიც ძლიერ უხეიამოვნო არის კაცისათვის დასანახავათ. ზოგი ამათგანნი ჯვარ დაუწერელნი არიან ინგილოებთან მხოლოდ იმისათვის, რომ ლუკმა პური იშოვნონ კუჭის გამოსაძღომათ. ამის გამო როდესაც ინგილოს მოჰბეზრდება იმისი შენახვა, მაშინ უსვინიდისოთ გაუძახებს ხოლმე თავის სახლიდგან, რადგან ეს მას მეორე ცოცხალს ცოლის დროს ჰყვანდა სახლში შემოყვანილი. სად მიდიან მერე ისინი? ხან ერთ ინგილოსთან, ხან მეორესთან, როსკიპობენ და კარ-და-კარ დაეთრევიან. ამათში რასაკვირველია ქვრივებიც ურევიან და ზოგიერთს ამათთაგანს ყმაწვილებიც მოჰყოლიათ. კაცი იმყოფება კახში 24. მაშა სადამე კახში მცხოვრებ ქიზიყელების რიცხვი იქმნება 65. ინგილოთა კომლების რიცხვი კიდევ არის 250. სოფელს საკანში ცხოვრებს 8 კომლი ინგილო. აქ არის გამოთხოვილი 4 ქიზიყელი ქალი, სულ ჯვარ დაწერილები არიან; 3 კაცია და 5—ც ქალ-ვაჟნი დედათათვის მოყოლილნი. ჯამი იქნება 12 სული.—სოფელს ზაგამში 4 ქალია გამოთხოვილი. ერთს ინგილოს ამ ქიზიყელ ქალების ქმართაგანს, თავის ცოლს გარდა, თავისი სიდედრი მეორე გასათხოვარი ქალით, ესე იგი თავის ცოლის დით, სახლში ჰყავს. ამის გამო როგორც მიამბო მე ადგილობრივმა მღვდელმა, სიდედრს ჰსურს, რომ თავისი უმცროსი ქალი თავის სიძის შვილს მიათხოვოს, ესე იგი თავის ქალის გერს, შვილს იმ სახლშივე. ხიზანი 1-ა და კაცი 6.—სოფელს თასმალოში არის 2 ქალი, 3 ყმაწვილი და 3 კაცი. ამ ორ სოფელში მოკვდა ამ ორ წელიწადში (1866 და 1867) ქიზიყელი კაცი და დედაკაცი 6, სულ ციებ-ცხელებითა. სოფელს მეშაბაში არის გამოთხოვილი ქიზიყელთაგანი 4 ქალი. ამათ თავიანთ მეტი აქ არავინა ჰყავთ. კაცი არის აქ 3. სოფელს ალიბეგლოში არის ხიზნათ 1 კომლი, რომელსაც შეადგენს 7 სული და დგანან საყდრის ეზოში, ვითარცა ყარაულნი. ესენი პირის სახით გაყვითლებულს ნესვსა ჰგვანან და წლეულს ყველანი ციებ-ცხელებით იყვნენ ავათ, რის გამო ამათგან 2 მდედრი მოკვდა. მაგრამ ალიბეგლოში 1866 და 1867 წელიწადებში მომკვდარა 15 სული. ქალი არის გამოთხოვილი 5. ამათ მოჰყოლიათ თავიანთ მონათესავეთაგანნი 3, რომელთაგანაც ორი მამრი მოკვდა. სოფელს ყორაღანში არის გამოთხოვილი 19 ქალი. ამათ მოჰყოლიათ 7-დი ყმაწვილი. ამ სოფელში ამ ორ წელიწადში მათგან მომკვდარა 8 ქიზიყელი, სულ ციებ-ცხელებითა. კაცთაგან კიდე იმყოფება 9. ქალთაგანს ზოგიერთს თავიანთ ინგილო ქმრების ხელში მუსურმნობა მიუღიათ. რისა გამო მათი საქმე ეხლა გამოძიებაში არის მიცემული, და იმედი გვაქვს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხი მესვევე ეცდება ეკკლესიისათვის მათ დაბრუნებას, ვითარცა შვილთა ბუნებითი ქართველთა. ამათ გარდა სხვაგანაც არიან გამუსურმნებულნი და ყველანი ერთად შეადგენენ 8 პირსა. მაშასადამე ამ შვიდ სოფელში ამ ჟამათ მცხოვრებ ქართველების რიცხვი ერთად შეადგენს 159-ს. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო შეგვეტყო სულ რამდენი მოკვდა ამ შვიდ სოფელში 1866 და 1867 წლების განმავლობაში ქიზიყელთაგანი; მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ მე ეს ვერ შევიტყე. შევიტყე დაწვრილებით მხოლოდ ისა, რომ ოთხ სოფელში ზაგამში, თასმალოში, ალიბეგლოში და ყორაღანში 1866 და 1867 წლების განმავლობაში მომკვდარა სულ 31 სული. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე მეტნი არიან აქ მოსულნი და დახოცილები, და თუ მთელ ზაქათალის ოკრუღში მცხოვრებ ქიზიყელები აღვრიცხეთ, მაშინ ხომ, რასაკვირველია, მეტნი იქმნებიან და მეტნი.

(შემდეგი იქნება).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го апрѣля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.